საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

3413-01-2-201708101529

N 01/3413
10/08/2017

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს,
საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს ბატონ **ზაზა სოფრომაძეს**

ბატონო ზაზა,

თქვენი 2017 წლის 3 აგვისტოს N04/50538 (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი N6060/01) წერილის პასუხად მოგახსენებთ რომ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 ივლისის N356 დადგენილებით მაღალმთიან დასახლებათა ნუსხას დაემატა 37 დასახლება. აქედან ე.წ „მაჭახელას ხეობის დასახლებები“, კერძოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 9 დასახლებას (აჭარისაღმართი, ზედა ჩხუტუნეთი, სინდიეთი, ქედქედი, ქვედა ჩხუტუნეთი, ქოქოლეთი, ჩიქუნეთი, სკურდიდი და ცხემლარა) სტატუსი მიენიჭათ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარისათვის მიკუთვნების გამო, ხოლო 1 დასახლებას, კერძოდ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანდისს მიენიჭა ზღვის დონიდან 1500 მეტრს ზემოთ მდებარეობის გამო. დანარჩენი 27 დასახლება დაემატა მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებისა და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვის დონიდან მინიმალური სიმაღლის დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

კახაბერ გულედანი

მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722